ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ტესტი ისტორიაში

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის №1-22. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი მსჯელობაა მართებული ილუსტრაციაზე გამოსახული არტეფაქტის შესახებ?

ა) ვანში აღმოჩენილი სასმისი ცხადყოფს, რომ ადგილობრივ მეურნეობაში მეღვინეობას წამყვანი ადგილი ეჭირა;

ბ) თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის თასი საკულტო წეს-ჩვეულებების შესწავლის საშუალებას იძლევა;

გ) ფაზისის განძის შემადგენლობაში მოხვედრილი ეგვიპტური ჭურჭელი განვითარებულ სავაჭრო ურთიერთობებზე მეტყველებს;

დ) ახალგორში ნაპოვნი ჭურჭელი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ სოციალურ თანასწორობაზე მიუთითებს.

(1) 2. ძველი აღმოსავლეთის რომელი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ნინევია?

ა) ასურეთის;

ბ) შუმერების;

გ) მიდიის;

დ) ხეთების.

(1) 3. ბერძნების მიერ რომელ ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას უკავშირდება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი სპორტული სახეობის სახელწოდება?

ა) პლატეას;

ბ) მარათონის;

გ) ქერონეის;

დ) თერმოპილეს.

(1) **4. რა უკავშირდება გაიუს მარიუსის მოღვაწეობას?**

ა) მოქალაქეობის მინიჭება ბარბაროსთა ბელადებისთვის, რამაც გერმანულ ტომებთან დაზავებას შეუწყო ხელი;

ბ) სამხედრო რეფორმის გატარება, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა რომის სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალი;

გ) მონებისთვის მიწის პატარა ნაკვეთების დარიგება, რის შემდეგაც რომში სწრაფად გაიზარდა მარცვლეულის წარმოება;

დ) სენატის უფლებების გაფართოება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სამოქალაქო ომის სწრაფი დასრულება.

(1) 5. „თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანემ... მეფე მითრიდატეს, მეფე ფარსმანის ძეს, კეისრის მეგობარსა და... მოყვარულს და ხალხს კედლები გაუმაგრა“. რომელ სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას მოცემული ნაწყვეტი წყაროდან?

ა) ლაზიკისა და რომის იმპერიის;

ბ) იბერიისა და ბიზანტიის;

გ) ბიზანტიისა და ლაზიკის;

დ) რომის იმპერიისა და იბერიის.

(1) 6. რომელი ინფორმაციაა მართებული კატალაუნის ბრძოლის შესახებ?

ა) აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და ფრანკთა სამეფოს ჯარების დაპირისპირება ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა;

ბ) რომის იმპერიასა და სასანიანთა ირანს შორის გამართულ ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შაჰ კავადის დაღუპვამ ითამაშა;

გ) დასავლეთ რომის იმპერიისა და მისი მოკავშირეების ჯარებმა უკუაგდეს ჰუნები, რომლებიც ატილას მეთაურობით იბრძოდნენ;

დ) რომზე თავდასხმის გამო იმპერიის ჯარები დაედევნენ ვანდალთა ლაშქარს, მაგრამ ამ ბრძოლაში დამარცხდნენ.

(1) 7. ვის შესახებ მოგვითხრობს პროკოპი კესარიელი თავის ნაწარმოებში „საიდუმლო ისტორია“?

ა) იუსტინიანე I დიდის;

ბ) ბასილი II ბულგართმმუსვრელის;

გ) ალექსი I კომნენოსის;

დ) კონსტანტინე X დუკას.

(1) **8. მუჰამედთან დაკავშირებული რომელი ისტორიული მოვლენა ითვლება მუსლიმური წელთაღრიცხვის - ჰიჯრის დასაწყისად?**

ა) ყურანის შექმნა;

ბ) ისლამის ქადაგების დაწყება;

გ) გადასახლება მექადან მედინაში;

დ) ხალიფას წოდების მიღება.

(1) 9. გაერთიანებული საქართველოს რომელი მეფის შესახებ წერს მემატიანე: „აკურთხა ეკლესია ქუთაისისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა... შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლისმოქმედი ყოველთა კაცთათჳს“?

ა) ალექსანდრე I-ის;

ბ) ბაგრატ III-ის;

გ) გიორგი III-ის;

დ) დემეტრე I-ის.

(1) **10. რომელი ინფორმაცია *<u>არ არის მართებული</u>* ინგლისის მეფის, ჰენრი II-ის შესახებ?**

ა) იყო პირველი მეფე პლანტაგენეტების დინასტიიდან;

ბ) ფლობდა ნორმანდიის ჰერცოგის ტიტულს;

გ) მოაკვლევინა დაპირისპირებული კენტერბერის არქიეპისკოპოსი;

დ) წამოიწყო ასწლიანი ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

(1) 11. რომელი ქალაქის აღებით დასრულდა რეკონკისტა?

ა) ვალენსიის;

ბ) გრანადის;

გ) სევილიის;

დ) სარაგოსას.

(1) **12. რომელი მსჯელობაა მართებული საღვთო რომის იმპერატორის კარლოს V-ის შესახებ?**

ა) გერმანიის პროტესტანტ მთავრებთან ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ აუგსბურგის რელიგიური ზავი დადო;

ბ) პავიის ბრძოლაში დამარცხებისა და ტყვედ ჩავარდნის შემდეგ იძულებული გახდა მილანის საჰერცოგო საფრანგეთისათვის დაეთმო;

გ) ჩამოაყალიბა „საღვთო ლიგა“, რომელმაც გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ოსმალებზე ლეპანტოს საზღვაო ბრძოლაში;

დ) რომის პაპის შუამავლობით პორტუგალიის მეფესთან ახლადაღმოჩენილი მიწების გასაყოფად ტორდესილასის ხელშეკრულება დადო.

(1) 13. რომელი ქალაქის აღებას ცდილობდა XVI საუკუნეში სულთანი სულეიმან I?

ა) კრაკოვის;

ბ) პრაღის;

გ) ვენის;

დ) მიუნხენის.

(1) **14. რომელი ინფორმაციაა მართებული XVI საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ?**

ა) მურჯახეთის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ იმერეთის მეფემ - ბაგრატ III-მ სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი შემოიერთა;

ბ) გარისის ბრძოლაში ყიზილბაშთა დამარცხების შემდეგ ქართლის მეფე ლუარსაბ I-მა თბილისის ციხე აიღო;

გ) კახაბერ ყორღანაშვილის ღალატის გამო სიმონ II სოხოისტას ბრძოლაში დამარცხდა და ოსმალებს ტყვედ ჩაუვარდა;

დ) ჩილდირის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ყიზილბაშებმა მესხეთი მთლიანად დაიპყრეს და ახალციხის სახანო დააარსეს.

(1) **15. რომელი მსჯელობაა მართებული როსტომის (ხოსრო-მირზას) მოღვაწეობის შესახებ?**

ა) შაჰისგან ყულარაღასის ტიტულის მიღების შემდეგ ქართლ-კახეთის მმართველად დაინიშნა და ძალით ავრცელებდა ისლამს;

ბ) მეფედ რომ დაემტკიცებინათ, ისლამი მიიღო და თავი ოსმალეთის ვასალად აღიარა, თუმცა ფარულად მოსკოვის დიდ მთავართანაც აგზავნიდა ელჩებს;

გ) ქართლ-კახეთის ფაშად დანიშვნის შემდეგ ადგილობრივ ფეოდალებთან კარგი ურთიერთობა დაამყარა და სამეფოს სიმშვიდე მოუპოვა;

დ) როგორც ქართლის ვალი, ირანის მორჩილი იყო, თუმცა ამავე დროს ქართლში მშვიდობას ინარჩუნებდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობდა.

(1) **16. რომელი მსჯელობაა მართებული XVII საუკუნეში ევროპაში მიმდინარე ოცდაათწლიანი ომის შედეგების შესახებ?**

ა) ძველი დინასტიის შეწყვეტის გამო უმემკვიდროდ დარჩენილი იტალიის ტახტი ბურბონების საგვარეულოს წარმომადგენლებმა დაიკავეს;

ბ) შტაუფენებმა საღვთო რომის იმპერატორის ტიტული შეინარჩუნეს, თუმცა სილეზიის რეგიონის პრუსიის სამეფოსათვის დათმობა მოუხდათ;

გ) შვედეთმა მნიშვნელოვანი ტერიტორიები მიიღო ჩრდილოეთ გერმანიაში და ევროპაში პოზიციები განიმტკიცა;

დ) კათოლიციზმი საღვთო რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ დაშვებულ აღმსარებლობად გამოცხადდა.

(1) 17. რომელი ინფორმაციაა მართებული XVIII საუკუნის საქართველოს კულტურული ცხოვრების შესახებ?

ა) ერეკლე II-ის ინიციატივით თბილისის სტამბამ მუშაობა განაახლა;

ბ) კათოლიკოს ანტონ I-ის ძალისხმევით თელავში ჟურნალის გამოცემა დაიწყო;

გ) სოლომონ I-ის ბრძანებით ქუთაისში სასულიერო სემინარია გაიხსნა;

დ) დარეჯან დედოფლის დახმარებით გორში ქალთა გიმნაზია დაფუძნდა.

(1) **18. რომელი ინფორმაცია *<u>არ არის მართებული</u>* ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში საქართველოს სამხედრო ისტორიის შესახებ?**

ა) ერეკლე II მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, მათ შორის, ჩერქეზებს ქირაობდა;

ბ) მეფის ლაშქარი აღჭურვილი იყო ზარბაზნებით, რომელთაც საქართველოში ასხამდნენ;

გ) დაარსდა რეგულარული სამხედრო შენაერთი „მორიგე ჯარი“, რომელსაც წლების განმავლობაში ლევან ბატონიშვილი მეთაურობდა;

დ) ერეკლე II-ის ძალისხმევითა და უცხოეთიდან მოწვეული ოფიცრების დახმარებით თბილისის სამხედრო სასწავლებელი გაიხსნა.

(1) **19. სხვა მოვლენებთან ერთად, რა მიუთითებდა რუსეთის იმპერიაში არსებულ კრიზისზე XIX საუკუნის შუა ხანებში?**

ა) პუგაჩოვის აჯანყება;

ბ) სტოლიპინის წარუმატებელი რეფორმები;

გ) მარცხი ყირიმის ომში;

დ) იმპერატორის გადადგომა.

(1) 20. საფრანგეთის ისტორიის რომელ პერიოდს მიეკუთვნება ე. წ. დრეიფუსის საქმე?

ა) პირველი იმპერიის;

ბ) მეორე რესპუბლიკის;

გ) მეორე იმპერიის;

დ) მესამე რესპუბლიკის.

(1) **21. რომელი მსჯელობაა მართებული 1919 წლის თებერვალში საქართველოში გამართული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების შესახებ?**

ა) ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო უმრავლესობის მოპოვება და შეიქმნა კოალიცია სოციალისტ-ფედერალისტებით სათავეში, ოპოზიციაში კი სახალხო-დემოკრატიული პარტია აღმოჩდა;

ბ) გამარჯვება მუშათა გაერთიანებულმა პარტიამ მოიპოვა და პრეზიდენტად მათი წარმომადგენელი დაინიშნა, თუმცა მინისტრთა კაბინეტი კოალიციური იყო;

გ) უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა და ერთპარტიული მინისტრთა კაბინეტი შეიქმნა, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიები კი ოპოზიციას წარმოადგენდა;

დ) დამაჯერებლად გაიმარჯვეს მემარცხენე პარტიებმა და უმრავლესობა მოიპოვეს, თუმცა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დამფუძნებელ კრებაში მუშაობაზე უარი განაცხადა.

(1) 22. რომელი დახასიათებაა მართებული სსრკ-ში არსებული მმართველობის სისტემის შესახებ?

ა) ავტორიტარული რეჟიმი, როდესაც კანონმდებლობით ხელისუფლება ეკუთვნოდა ერთ პირს და ის თავად ნიშნავდა საკუთარ მემკვიდრეს, რომელსაც მთელ ძალაუფლებას გადასცემდა;

ბ) სამხედრო დიქტატურა, რომელიც შენიღბული იყო მშრომელი მასების, კონკრეტულად კი მუშებისა და გლეხების ვითომდა საყოველთაო ხელისუფლებით;

გ) ტოტალიტარული რეჟიმი, რომლის დროსაც მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო ერთადერთი პოლიტიკური პარტიის ელიტის ხელში;

დ) კლასობრივი დიქტატურა, რომლის დროსაც ოფიციალურად პოლიტიკური უფლებები ენიჭებოდა მხოლოდ სახელმწიფოში ყველაზე მრავალრიცხოვან გლეხთა კლასს.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 23-26.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ აქემენიანთა ირანის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. მარცხი სალამინის ყურეში
2. ლიდიის სამეფოს დამარცხება
3. გავგამელას ბრძოლა

(1) **24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რომის იმპერიაში განვითარებული მოვლენები.**

1. დედაქალაქის გადატანა კონსტანტინოპოლში
2. რომაელთა მარცხი ადრიანოპოლის ბრძოლაში
3. რომის აღება ალარიხის მიერ

(1) **25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საფრანგეთში XVII საუკუნეში განვითარებული მოვლენები.**

1. ფრონდა
2. მარია მედიჩის რეგენტობა
3. ლა როშელის აღება

(1) 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართველი ისტორიკოსები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.

1. ფარსადან გორგიჯანიძე
2. ვახუშტი ბატონიშვილი
3. პლატონ იოსელიანი

ინსტრუქცია დავალებისათვის № 27.

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.

მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხთაგან ოთხი (4) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ოთხივე შეცდომა, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება 27. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
27.1. რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?	27.1. პირველი საუკუნის.
27.2. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქები მდებარეობდა შავიზღვისპირეთში რომაელთა მიერ ახალდდაპყრობილ ტერიტორიაზე?	27.2. ტირა, ოლბია.
27.3. რუკის მიხედვით, რომელი სამეფოების ტერიტორიები დალაშქრეს რომაელებმა აზიაში?	27.3. სომხეთის, სელევკიდების.
27.4. რუკის მიხედვით, ვის ებრძოდნენ რომაელები ევროპაში და საბოლოოდ რაში გამოიხატა მათი გამარჯვება ამ ომში?	27.4. დაკიის სამეფოს; მთლიანად შეუერთეს იმპერიის ტერიტორიას.
27.5. რუკის მიხედვით, ვინ უქმნიდა საფრთხეს რომის იმპერიას გალიის საზღვართან და რა მოიმოქმედეს მათგან თავდასაცავად რომაელებმა?	27.5. გერმანული ტომები; ააგეს ქალაქი ლუტეტია.
27.6. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქის ალყა დასრულდა რომაელთათვის წარუმატებლად? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.	27.6. ჰათრას; ქალაქზე არ ჩანს მისი აღების ნიშანი.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 28.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. გაითვალისწინეთ, რომ სამივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთი ისტორიული პროცესის სამი ეპიზოდი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

დავალება 28. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

N1

N2

N3

ილუსტრაციებზე წარმოდგენილია ევროპაში XIX საუკუნის II ნახევარში განვითარებული ისტორიული პროცესის ამსახველი სხვადასხვა ეტაპი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **28.1.** რომელი სახელმწიფოს ინიციატივით წამოწყებული პოლიტიკური პროცესია ასახული №1 ილუსტრაციაზე? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.

(2) **28.2.** დაასახელეთ რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის შექმნის გამოცხადებაცაა ასახული №2 ილუსტრაციაზე და სად მოხდა ეს ისტორიული მოვლენა?

(2) **28.3.** დაასახელეთ №3 ილუსტრაციის მთავარი იდეა. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.

(1) **28.4.** დაასახელეთ იმ გაკვეთილის თემის სათაური, რომელზეც სამივე ილუსტრაციას გამოიყენებთ.

ინსტრუქცია დავალებისათვის №29. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

დავალება 29. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

1939 წელს სსრკ-სა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება

სსრკ-ს მთავრობა და გერმანიის მთავრობა ხელმძღვანელობენ სსრკ-სა და გერმანიას შორის მშვიდობის განმტკიცების სურვილით და გამომდინარე სსრკ-სა და გერმანიას შორის 1926 წელს დადებული ხელშეკრულებიდან ნეიტრალიტეტის შესახებ, შემდეგ შეთანხმებამდე მივიდნენ:

ორივე ხელმომწერი სახელმწიფო პირობას დებს, რომ თავს შეიკავებს ნებისმიერი ძალადობის, აგრესიისა და თავდასხმისგან ერთმანეთის მიმართ. როგორც ცალ-ცალკე, ასევე სხვა სახელმწიფოებთან ერთად.

თუ ერთი ხელმომწერი სახელმწიფო აღმოჩნდება თავდასხმის ობიექტი რომელიმე მესამე სახელმწიფოს მხრიდან, მეორე ხელმომწერი სახელმწიფო არანაირად არ დაეხმარება მესამე სახელმწიფოს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ორივე ხელმომწერი სახელმწიფოს მთავრობები მომავალში გააგრძელებენ კონტაქტებს კონსულტა-ციებისთვის, რათა ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია მათ ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

არც ერთი ხელმომწერი სახელმწიფო არ იქნება რაიმე სახის გაერთიანების წევრი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართულია მეორე ხელმომწერი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის ამა თუ იმ საკი-თხთან დაკავშირებით დავის ან კონფლიქტის წარმოქმ-ნის შემთხვევაში, ორივე მხარე კონფლიქტს და დავას გა-დაწყვეტს მშვიდობიანად, აზრთა გაზიარებით ან, თუ საჭიროა, კონფლიქტის მოსაგვარებლად, კომისიის შექმნით.

წარმოდგენილი ხელშეკრულება იდება ათი წლით და თუ ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე რომელიმე

ტექსტის გაგრძელება შემდეგ გვერდზე

მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ის ავტომატურად გაგრძელდება კიდევ ხუთი წლით.

წარმოდგენილ ხელშეკრულებას სჭირდება რატიფიკაცია მაქსიმალურად სწრაფად. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება ბერლინში. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შედგენილია ორ ენაზე: გერმანულად და რუსულად მოსკოვში 1939 წლის 23 აგვისტოს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელმოწერისას, ორივე მხარის უფლებამოსილმა პირებმა მკაცრად კონფიდენციალურ ვითარებაში განიხილეს აღმოსავლეთ ევროპაში ორმხრივი ინტერსების სფეროთა გამიჯვნის საკითხი. ამ განხილვამ გამოავლინა შემდეგი:

ბალტიისპირეთის სახელმწიფოების (ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) შემადგენლობაში შემავალი ოლქების ტერიტორიულ-პოლიტიკური გადანაწილების შემთხვევაში ლიტვის ჩრდილოეთ საზღვარი იმავდროულად არის გერმანიისა და სსრკ-ს ინტერესთა სფეროების საზღვარი.

პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ოლქების ტერიტორიულ-პოლიტიკური გადანაწილების შემთხვევაში გერმანიისა და სსრკ-ის ინტერესთა სფეროების საზღვარი გაივლის მდინარეების: ნარევის, ვისლას და სანის ხაზზე. წარმოადგენს თუ არა ორმხრივ ინტერესს დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფოს არსებობა და როგორი იქნება ამ სახელმწიფოს საზღვარი, საბოლოოდ შეიძლება გაირკვეს მოვლენათა შემდგომი პოლიტიკური განვითარებისას. ყოველ

ტექსტის გაგრძელება შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

შემთხვევაში ორივე სახელმწიფო გადაწყვეტს ამ საკითხს ორმხრივი მეგობრული თანხმობით.

რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, საბჭოთა მხარემ ხაზი გაუსვა საკუთარ ინტერესს ბესარაბიის ოლქისადმი. გერმანიის მხრიდან გაცხადდა, რომ მას არანაირი პოლიტიკური ინტერესი არ აქვს ამ ოლქისადმი.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ამ დამატებით პროტოკოლს ორივე მხარე განიხილავს როგორც მკაცრად საიდუმლოს.

მოსკოვი. 23 აგვისტო 1939 წელი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **29.1.** თქვენი აზრით, რა პოლიტიკური მიზანი განაპირობებდა იმას, რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია მაქსიმალურად სწრაფად უნდა მომხდარიყო?

(1) **29.2.** დოკუმენტის მიხედვით, რა შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა?

(1) **29.3.** დოკუმენტის მიხედვით, რა სახის შეზღუდვა უწესდებოდა რომელიმე ხელმომწერ სახელმწიფოს რაიმე სახის გაერთიანებაში შესვლასთან დაკავშირებით?

(1) **29.4.** დოკუმენტის მიხედვით, რა იყო გათვალისწინებული რომელიმე ხელმომწერ სახელმწიფოზე მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში?

(1) **29.5.** დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ კონკრეტული ოლქის სახელწოდება, რომლის მიმართ გერმანიას არ ჰქონდა ინტერესი.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **29.6.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, თუ როგორ უნდა გადაეჭრათ ხელმომწერ სახელმწიფოებს მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტები ან დავები.

(2) **29.7.** დოკუმენტში დასახელებული ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გარდა, სრულად ჩამოთვალეთ სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიებთან დაკავშირებითაც ინტერესი ჰქონდათ ხელმომწერ სახელმწიფოებს.

(2) **29.8.** რომელ ქალაქს უკავშირდება სახელწოდება, რომლითაც 1918-1933 წლებში არსებული გერმანიის სახელმწიფო მოიხსენიება და რატომ?

(2) **29.9.** კიდევ რა სახელითაა ცნობილი ისტორიაში სსრკ-სა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის ეს ხელშეკრულება და რატომ იწოდება ასე?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **29.10.** თქვენი აზრით, რომელი მესამე სახელმწიფო შეიძლებოდა დასხმოდა თავს გერმანიას და რატომ?

(2) **29.11.** დოკუმენტში ნახსენებ რომელ სახელმწიფოს ემუქრებოდა დამოუკიდებლობის ფაქტობრივი და იურიდიული დაკარგვა და დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს თქვენს მოსაზრებას?

(2) **29.12.** ხელშეკრულებით განსაზღვრული გავლენის სფეროები სინამდვილეში სხვაგვარად გადანაწილდა. დოკუმენტში დასახელებული ერთი სახელმწიფო არ აღმოჩნდა იმ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, რომელშიც უნდა ყოფილიყო ხელშეკრულებით. დაასახელეთ ეს სახელმწიფო და რომელი სახელმწიფოს გავლენის სფეროში აღმოჩნდა ის რეალურად?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე